



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დგებუაძე გივი ანდროს ძე

დგებუაძე გივი ანდროს ძე (21. IX. 1929, თერჯოლა, - 15. IX. 2011, თბილისი), მეტალურგი. ტექ. მეცნ. კანდიდატი (1968). 1954 დაამთავრა მოსკოვის ფოლადის ინ-ტი. 1954-57 მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1957-იდან - ფ. თავაძის სახ. მეტალურგიის ინ-ტში (1973-იდან იყო ელექტროთერმიის ლაბორატორიის გამგე). დ-ის ძირითადი სამეცნ. ნაშრომები ეხება დახურული ელექტრული მადანალმდგენი ლუმლების კონსტრუქციებს. 1980-84 მისი ხელმძღვანელობით შემუშავებული დახურული ლუმლის ახ. გეომ. პარამეტრები დაინერგა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ყველა მძლავრ ელექტროლუმელში, აგრეთვე შეტანილ იქნა ინდოეთის ერთ-ერთი მეტალ. საწარმოს ორი ლუმლის პროექტში. დ-ის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა და წარმოებაში დაინერგა საწარმოს ნარჩენებისაგან ფოლადის ეფექტური განმჟანგველის (ფეროსილიკოალუმინი) მიღების ტექნოლოგია ალუმინ-თერმული პროცესით. 1994 ამ სამუშაოს შესრულებისათვის დ-ს მიენიჭა საქართვე. სახელმწ. პრემია. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და გამოგონებისა.
